

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ.ბათუმი, ნინოვილიის/რუსთაველის ქ 35/32 ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 110 კრედიტი სავალდებულო და 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნით, ტურიზმის მულტიდისციპლინარულ გარემოში ეფექტიანად მოქმედების შესაძლებლობით, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიული გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი ტურიზმსა და მასპინძლობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციაში გადაჭრას რთული, კომპლექსური პრობლემები და მიიღოს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები.
სწავლის შედეგები	<p>გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა ტურიზმის და მასპინძლობის დარგში მოქმედი ორგანიზაციის მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფინანსების სფეროებში. ასევე სამეცნიერო კვლევის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა.</p> <p>აცნობიერებს ტურიზმთან და მასპინძლობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა გარემოს და კულტურის დაცვა.</p> <p>შეუძლია მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილება ტურიზმის და მასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციის ფარგლებში იმ პირობებში, როდესაც არსებულ სიტუაციაზე გავლენას ახდენენ ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური ფაქტორები.</p> <p>შეუძლია ტურიზმის და მასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციის ფარგლებში მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფინანსების სფეროში წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის მიზნით კვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და კონტროლი.</p> <p>შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ტურიზმის და მასპინძლობის სფეროში განხორციელებული სამეცნიერო კვლევებიდან, სტატისტიკური ინფორმაცია ტურიზმის შესახებ, მოგზაურების, ასევე ტურიზმის და მასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციების გამოკითხვების შედეგად, ოფიციალური სახელმწიფო ორგანოებიდან, მთავრობის ამ ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და ინტეგრირება, რის შედეგადაც აყალიბებს სიახლის შემცველ დასკვნებსა და დებულებებს.</p> <p>შეუძლია განსაზღვროს, ტურიზმსა და მასპინძლობასთან დაკავშირებული ორგანიზაციის მართვის რომელ სფეროში საჭიროებს ცოდნის ან უნარ-ჩვევების გაღრმავებას და დამოუკიდებლად დაგეგმოს შესაბამის დონეზე საკუთარი განვითარების პროცესი.</p> <p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო ინტერესის სფერო და ხელმძღვანელის მითითებების დახმარებით აწარმოოს კვლევითი მოქმედებები.</p> <p>აცნობიერებს პროფესიული ეთიკის მნიშვნელობას და მონაწილეობას ღებულობს მის დამკვიდრებაში.</p> <p>აცნობიერებს ეკოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს და წარმართავს საკუთარ და სხვების მოქმედებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურისდაცვითი ნორმების გათვალისწინებით.</p> <p>აცნობიერებს აკადემიური პატიოსნების და კვლევაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპების მნიშვნელობას და წერგავს მას კვლევით საქმიანობაში.</p>
შეფასების წესი	<b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b> ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: <b>როსტომ ბერიძე</b> მობ.: 577 71 62 63 ელ-ფოსტა: <a href="mailto:beridze.rostom@bsu.edu.ge">beridze.rostom@bsu.edu.ge</a> <b>პაატა ჩაგანავა</b> მობ.: 577 545490 ელ-ფოსტა: <a href="mailto:chaganava.paata@bsu.edu.ge">chaganava.paata@bsu.edu.ge</a>